საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორთულებაჲ

„მორთულებაჲ“ (რთვაჲ , დართული, მორთული), ბერძნული ფილოსოფიური კატეგორიის – ჰარმონიის ქართული ტერმინოლოგიური შესატყვისი. „**მ.**“ იოანე პეტრიწმა (XI ს.) გამოიყენა ბერძნულიდან თავისივე თარგმნილ და კომენტირებულ ნაშრომებში: „ბუნებისათვის კაცისა“ (ნემესიოს ემესელი) და „ღმრთისმეტყველების საფუძვლები“ (პროკლე). ტერმინი „**მ**.“ პეტრიწს ეკუთვნის. მის სემანტიკურ საყრდენად გამოყენებულია ცნებები: „რთვა“, „ნართი“, „მორთული“. „მორთულებას“, როგორც ჰარმონიის სადარ ქართ. ტერმინოლოგიურ შესატყვისს, იოანე პეტრიწი ასე განმარტავს: „მორთულება შედგმულებაა, მორთულობა არს ზიარებაჲ შედგმულთა... ერთი და იგივე არს მორთულებაჲ და შენაწევრებაჲ“.

„**მ**-ს“ ცნება ზოგჯერ „ჰარმონიის“ იდენტურია და დიალექტიკის ყოველგვარ გამოვლინებას გულისხმობს (პეტრიწი მსჯელობს არა მარტო „სამუსიკელო“ ცნებაზე, არამედ „ბუნებით“, „არსთა“, „ციურ ვარსკვლავთა“, „რიცხვთა“, „სხეულებრივ“ „მორთულებაზე“); ზოგჯერ კი „**მ**.“ ანტიკური „ჰარმონიისაგან“ არსობრივად განსხვავებული მნიშვნელობითაა დატვირთული და სამი ხმის „შეურევნელი ერთობით“, ანუ „ერთობაჲ შეყოვლებისაჲთ“ მიღებული „მორთულების“ (ჰარმონიის), მრავალხმიანი ჰარმონიული ხმოვანების აღმნიშვნელი ტერმინია.

ნ. ფირცხალავა